დანაშაულის სოციალური ასპექტი პოსტმოდერნისტულ რომანში: პოლ ოსტერისა და ჩაკ პალანიკის მიხედვით

თათია გაფრინდაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია გაფრინდაშვილი

29.06.2022

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 2

შესავალი 3

1. პოსტმოდერნი, კონსუმერიზმი,

დევიაცია.....7

1.1.მოდერნიზმი 7

1.2. პოსტმოდერნიზმი..... 8

1.3. მომხმარებლური საზოგადოება.....10

1.4. დევიაცია და დანაშაული.....11

2. ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“ 13

3. პოლ ოსტერის დეტექტიური რომანები 22

3.1 მისნის ღამე.....23

3.2 ნიუიორკული ტრილოგია.....34

დასკვნა.....47

ბიბლიოგრაფია.....50

აბსტრაქტი

დანაშაული, როგორც ლიტერატურული ტექსტის შემადგენელი თემა, არსებობდა საუკუნეების წინანდელ მწერლობაშიც და აქტუალურია პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებებშიც. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკული რომანების კვლევა შედარებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ პოსტმოდერნულ საზოგადოებაში დანაშაულებრივი ქმედებების აღქმის თავისებურებები. ჩემი წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამის მცდელობას წარმოადგენს - აღწეროს დანაშაულის სოციალური ასპექტები, გააანალიზოს ავტორისა და დამნაშავის ურთიერთდამოკიდებულება ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბის“, პოლ ოსტერის „მისნის ღამისა“ და „ნიუიორკული ტრილოგიის“ საფუძველზე. მანამდე კი მიმოვიხილავ მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქის მახასიათებლებსა და მომხმარებლური საზოგადოების იმ თავისებურებებს, რაც განაპირობებს პოსტმოდერნისტული რომანების სიუჟეტში დანაშაულის როლის ორიგინალურობას.

კვლევის მიხედვით, თვალსაჩინო გახდა დანაშაულის კონცეფციაზე აგებული პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების განსხვავება სხვა ლიტერატურულ ტექსტებისგან, გამოიკვეთა კრიმინალური ისტორიების სოციალური აღქმის ნიმუშები, რამაც თავის მხრივ დაადასტურა პოსტმოდერნისტულ რომანებში დანაშაულის სოციალური ასპექტების კვლევის ღირებულება.

პოსტმოდერნისტული რომანები პოსტმოდერნული/პოსტინდუსტრიული ეპოქის სოციუმის შინაგანი სტრუქტურის გააზრებას ისახვას მიზნად. ამ სოციუმის ლოგიკა განსხვავდება როგორც ტრადიცული, ისე მოდერნული/ინდუსტრიული ეპოქის საზოგადოების მოწყობის წესისაგან. სოციუმში ინდივიდის ადგილი განისაზღვრება კონსუმერიზმის კრიტერიუმებით, ხოლო საზოგადოებრივი მოწყობის წესისგან დევიაცია შეიძლება არ აღიქმებოდეს ამ წესების დარღვევად, სანამ ინდივიდი გარეგნულად იცავს სოციუმის ფასადურ კეთილდღეობას. ამავე დროს, კეთილდღეობის

ფასადის მიღმა რეალური ცხოვრების შესაგრძნობად ინდივიდი შეიძლება სწორედ დევიაციურ ქცევაზე აკეთებდეს არჩევანს, რასაც ის თვითდესტუქციამდე მიჰყავს. შესაბამისად, როგორც საზოგადოების მოწყობის, ისე ინდივიდის ქცევისადმი ანალიტიკური პოზიციის გამომუშავებით პოსტმოდერნისტი ავტორი ცდილობს დესტრუქციის რისკის დანახვას.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, ლიტერატურული ნაწარმოები, დანაშაული, კრიმინალური ისტორია, სოციალური აღქმა, სოციალური აქცენტები.

Abstract

Crime, as an integral theme of the literary text, existed in the literature centuries ago and it is also relevant in postmodernist writings. The study of American novels of the second half of the 20th century using the methods comparison and analysis allows us to identify the peculiarities of criminal acts. The aim of my dissertation is to describe the social aspects of crime, and analyze the relationship between the author and criminal, based on the novels written by Chuck Palahniuk's 'Fight Club', Paul Auster's 'Oracle Night' and 'the New York Trilogy'. Before that, I will review the characteristics of the modernism and postmodernism era, as well as the attributes of the consumer society which contribute the original style of crime in postmodernist novels.

According to the study, the difference between postmodernist writings built on the concept of crime and other literary texts became eminent, revealing patterns of social perception of criminal histories, which on the other hand, confirmed the value of researching the social aspects of crime in postmodernist novels. This means that other writings of American postmodernist literature can be easily selected as research material, which may be the starting point for making important and valuable findings in the future.

Postmodernist novels aim to understand internal structure of postmodern/postindustrial epoch's society. Logic of this society differs from the arangment rule of the traditional and modern/industrial epoch's society. The place of the person in this society is defined with the criterion of consumerism and the deviation from the society's arranged rules might not be percepted as the break of this rules, while a person externally defences socium's artificial wellness. At the same time, beyond this wellness, a person might choose deviant behavior to feel a real life, which can cause him selfdestruction. Accordingly, with the help of producing analytical position for the person's behavior and arrangement of society, postmodern author tries to see a risk of destruction.

Keywords: postmodernism, literary works, crime, criminal history, social perception, social accents.

შესავალი